ოქმი:**ო05. 3723023001**
თარიღი:**23/01/2023**

ოქმი №1
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2023 წელი, 20 იანვარი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ხ. ცერცვაძე, ქ. ვასაძე, პ. სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე
2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე
3..„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ “ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ, კომისიის წევრებს მოახსენა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოსული, კომისიის დღის წესრიგში შეტანილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების სამი პროექტი, იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმობაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამ დადგენილებების პროექტების თაობაზე შენიშვნები და რეკომენდაციები არ შემოსულა, ამდენად შესაძლებელია მათი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განხილვა -დამტკიცების მიზნით, კომისიის წევრებმა ცალ-ცალკე უყარეს კენჭი თითოეული მათგანს და აღნიშნეს, რომ პროექტები მომზადებული არის ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ისინი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი